# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 191

„12" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ბ" ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 26 ნოემბრის №17.05.204 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი